→ მოწაფეთა კონცერტი. კვირას, 15 მეორე ამბობს ინგლისელებისაო, ხოლო დეკემბერს, კონსერვატორიის დარბაზში მესამე დინჯად უპასუხებს მეჭორეებს:

შთაბეჭდილება. თუ კი ამ ერთ წელიწადში, ან რა-

ნაწილს და ელოდებოდა მთავრობის ბრძანებას, რომ მესხეთისაკენ წასულიყო.

ქალაქის თავი გზაში ენახე, რომელ-

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტიის

№ 407 1918 წ. შაბათი. დეკემბერი 14 № 407

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რაიონს გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

საქართველოს და სომხეთის საზღვარზე შეტაკება გრძელდება. ვილსონი მოკავშირეთა კონფერენციაზე პირადად დაიცავს ცნობილ 14 მუხლს. კიოლნში მოკავშირეთა ჯარის ნაწილებმა-ზანგებმა და სხვა ველურებმა დარბევა მოახდინეს. ეკატერინოდარში პეტლიურას ჯართან შეტაკებაა.

გულდამწვარნი და ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბარბალე (მადუ) დავითის ასული კეშელავასი და შვილები: გიორგი და დარია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 15 დეკემბერს (ახ. სტილ) დილის 11 ნახ. საათზე გადახდილი იქნება ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელის ქმრის, ხოლო უკანასკნელთა ძვირფასი მამის

თადეოზ გიორგის ძის კეშელავას

სულის მოსახსენებლად 2548

ღრმად დამწუხრებული, გულდათუთქული და უნუგეშო მწუხარებაში მყოფი ანეტა ერმალოზის ასული ვეფხვაძე ამით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, დეკემბრის 8-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. თელავში გარდაიცვალა სამსახურის ასრულების დროს მისი უსაყვარლესი და ძვირფასი ძმიკო მეექვსე ქართულ სათადარიგო პოლკის სამხედრო ექიმი

პლატონ ერმალოზის-ძე ვეფხვაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2568

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე, ივანე და მიხეილ ოტიას-ძენი ლაჟავანი, ნატალია ოტიას ასული ბურჯანაძისა; მარიამ ოტიას ასული მელნიკოვისა, ნინო ნიკოლოზის ასული ლაჟავასი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 10-ს გარდაიცვალა საყვარელი, დაუვიწყარი პირველთა მამა, ხოლო უკანასკნელთა მამამთილი

ოტია სიმონის ძე ლაჟავა

გამოსვენება მოხდება დეკემბრის 15-ს (ახ. სტ.) არამიანცის საავადმყოფოდან დილის 11 ნახ საათზე; დაკრძალვა შუადღის 1 ნახ. საათზე ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში. 2573

იოსებ ვასილის-ძე და მეუღლე მისი მარიამ სვიმონის ასული სიდამონ-ერისთავნი შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 11-ს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობით უდროოდ გარდაიცვალა უსაყვარლესი და დაუვიწყარი, პირველისა ძმის წული და მესამეთა ბიძაშვილი დავითის ასული

ლიუდმილა (ლიუდოჩკა)

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, წირვა და ანდერძის აგება კვირას დეკემბრის 15 კალოუბნის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2571

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ერასტი ივანეს-ძე ჭავჭავაძე შვილებით მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და დედა ლიზა [illegible] ასული კომაძესი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, დეკემბრის 15-ს ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა (6 საათზე) და პანაშვიდი 12 საათზე უდროოდ გარდაცვალებულის

ნინო გრიგოლის ასული ჭავჭავაძისი

2570

გულდამწვარი დედა მარიამი, გაუბედურებული მეუღლე სოფიო მიხეილის ასული, ძმები: ილია და გიორგი [illegible], დაი ლიზა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს დილის 6 საათზე მოულოდნელად მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი და ყველასათვის საყვარელი

კონსტანტინე მიხეილის-ძე ლაზარევი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე გამოასვენებენ ანჩისხატის ქ. № 3. სამების ეკლესიაში 10 საათზე დილით კვირას, დეკემბრის 15-ს. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე 2569

მთავარ სახაზო მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს და ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულის ყაზბეგის სახაზო გამგის

მირონ გიორგის ძე მარინაშვილის

ორმოცე დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, დეკემბრის 15-ს, (ძველი სტ. დეკ. 2-ს) დიდუბის ეკლესიაში 11 საათზე. 2565

ალექსანდრე, კონსტანტინე და არჩილ ნიკოლოზის ძენი, ბარბარე ზაქარიას ასული, ოლღა გიორგის ასული და თამარ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-დავითიშვილები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ ავადმყოფობისა გამო პირველნის და მეორენის საყვარელი რძლის და მესამენის ძალუის

ელიჩკას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთ ბინაზე მეორე პარალელური ქუჩა, № 11. გამოსვენება კვირას, დეკემბრის 15-ს, ათის ნახევარზე ქვაშვეთის ეკლესიაში 2566

გიორგი ნიკოლოზის ძე და მისი შვილები თინათინ და ქეთევან გიორგის ასულნი ბაგრატიონ-დავითაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობისა გამო პირველის საყვარელის და მეორეთა უძვირფასესი დედის

ელიჩკას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე მეორე პარალელური ქუჩა № 11. გამოსვენება კვირას, დეკემბრის 15-ს, ათის ნახევარზე ქვაშვეთის ეკლესიაში. 2566

1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ.) ყოველ-თვიური სალიტერატურო-სამხატვრო, სამეცნიერო, საკოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი:

„შვიდი მნათობი“

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი.
გამომცემლობა ამიერ კავკასიის კავშირისა. 1431

განცხადება

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ტფილისის სასურსათო და ნივთების საწყობიდან გაიყიდება ქვემოხსენებული სურსათ-სანოვაგე და ნივთები სამხედრო მინისტრის განკარგულებით დანიშნულ გენერალ-მაჭავარიანის კომისიის მიერ. მსურველთ სანოვაგის და ნივთების რაოდენობის ღირსების და ფასის შესახებ უნდა მიმართონ კომისიის თავმჯდომარეს გენერალ მაჭავარიანს სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების სადგომში გასაყიდად ტფილისის სასურსათო საწყობიდან: გამხმარი ხილი, ძმარი, დაფნის ფოთოლი, გამხმარი ბოსტნეული, თევზი ქაშაყ თევზი) კანიფოლი, გალეტები, ღორის ქონი, ხილის მაშარაბი და მახორკა. სანივთო საწყობიდან: მოკლე ჩასაცმელი ტყავები, ახალი და ძველი მოთელილი ნალები, ნალის ლურსმანი, ნალის მოსაკიდებელი (შიპები) წაღების ზეთი, ჩარდახები, საზაფხულო და საზამთრო წვივსაკრავები, პოვოზკები, სხვა და სხვა ჯურის ძველი ბარგის საზიდი ურმები. ტანისამოსის ნაგლეჯები, ქეჩები და ურმების ღერძის გასაპონი. 1435

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამა 1918 წელს დეკემბრის 17-ს, დილით 12 საათზე აწყობს კონკურენციას—სამასალო და სათბობ მასალების საწყობებში, ფოთისა, ზესტაფონისა, ქუთაისისა, ჭიათურისა, სამტრედიისა, შორაპნისა, ხაშურისა, ბორჯომისა, გორისა, ტფილისისა, ნავთლუღისა, და სანაინისა—შემდეგ სამუშაოებზე: გადატან გადმოტანა სათბობი მასალების ქვის ნახშირისა ვაგონებიდან ვაგონებში და სხვა გვარი სამუშაოები.

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნეს ყველა საწყობებზე ცალკე და უსათუოდ დახურული კონვერტებით და გამოგზავნილი შემდეგ მისამართით: ქ. ტფილისი. სამასალო განყოფილების უფროსს საქართველოს რკინის გზისა, დაწვრილებით პირადად და ფოსტით. (ქ. ტფილისი საქართველოს რკინის გზისა სამმართველო, სამასალო განყოფილება, ყოველ დღე 9 საათიდან 3 საათამდი გარდა უქმებისა). 1434

განცხადება

სამასალო განყოფილება საქართველოს სახაზინო რკინის გზისა ამით აცხადებს, რომ დეკემბრის 16-ს 1918 წ. (ახ. სტ.) დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგ სადგურებზე:

ტფილისის სადგური, მთავარ სამასალო საწყობში 3196 ტომარა.

ხაშურის სადგური, მასალის საწყობი 2196 ტომარა.

სამტრედიის სადგური, მასალის საწყობი 4231 ბოჭკა და 4200 ტომარა.

ფოთის სადგური, ლიანდაგის სამსახურის პირველ უბნის საწყობში 1800 ბოჭკა.

ყველა ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება მთავარ სამმართველოში სამასალო განყოფილების უფროსთან ყოველ დღე დილის 9 საათ. 3 საათ. 1429

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს დანიშნული საზოგადო კრება ზემოაღნიშნული საზოგადოებისა. 1436

ქართული კლუბი

დღეს, დეკემბრის 14-ს 1918 წ. მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი მართავს

ლექცია-კონცერტს

3 განყოფილებად.

1) ლექცია—„სახალხო მუსიკა და ჩვენი მუსიკალურ-კულტურული საზოგადოებანი“, 2) სახალხო სიმღერები, გადაღ. ძველ ქართველ მუსიკოსების მიერ 3 ხმაზედ 3) ფინლიანდური, შვედური და ჩეხური კილოები, გადაღ. ი. რატილის მიერ 4 ხმაზედ. გუნდი შესდგება 40 კაცისაგან და მონაწილეობენ: ძმ. კავსაძენი, ვახ. ცალქალამანიძე, კ. ინასარიძე, ა. შანშიაშვილი და სხვანი. გუნდი სხვათა შორის შეასრულებს თამარ ქ-ლს. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი რვის ნახევარ საათზე. გამგე ნ. კავსაძე 1440

წარმოდგენა № 4, 5, 6.

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, პარასკევს, 1918 წ. დეკემბრის 16, 20, 23-ს,

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია

სინათლე

(I ნაწილი). 3 მოქ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით. მსახიობნი: აბაშიძე ტ., ამირაჯიბი ც., ანკარა ს., დავითაშვილი ნ., ლეჟავა ოლ., სინაურიძე ო., ქილარჯიშვილი მარგ., ჩხეიძე ან., ჯავახიშვილი ნატ., აპტალიდი, აბდუშელი დ., არაბიძე ვ., ბარველი ივ., გამყრელიძე ვ., გვარაძე ნიკ., იმხნელი გ., ლორთქიფანიძე მ., სარაული მიხ., საფაროვი ზ. ფანიაშვილი, ფრონის პირელი გ., ციციშვილი ნიკ., ცხაკაია მ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

დასაწყისი საღამოს 7 ს.

მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება „ანტიგონე“, „ტარიელ გოლუა“.

რეჟისორი შალვა დადიანი. 1438 თანაშემწე ალ. ჩუჩუშვილი

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბის შენობაში (სასახლის ქ. № 5), დანიშნულია ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება.

განსახილველი საგნები:

1. ახალ წევრთა მიღება, 2. მოხსენება გამგეობისა, 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4. საზოგადოების გამგეობის წევრთა, და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 1413

ტფილისი, დეკემბერი 14.

რევოლიუციის [illegible]

პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე როცა ირჩეოდა ძვირფას კულტურის განვითარებისათვის პროდუქტების რეკვიზიციის საკითხი და განსაკუთრებით ხუთშაბათს, როდესაც საქართველოს დემოკრატიის შეკავშირებული ძალა გვარდიის სახით გამოვიდა სადღესასწაულოდ, ყველგან, სადაც კი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, მაგრამ კარგად გახვეული რევოლიუციის და სოციალიზმის ქურქში— გაიძახოდნენ: აი თქვენი სოციალისტები, რეფორმიზმსა და სასტიკს დისციპლინაზე შესცვალეს რევოლიუციონური და სოციალისტური ლოზუნგები. რასაკვირველია ქუჩის ამ განგაშს უყურადღებოდ დავტოვებთ რომ ხშირად ამ აზრს არ წამოეგებოდეს გულწრფელი დემოკრატიული მოღვაწე.

მართლაც, გვარდიის დღესასწაული მეტად საყურადღებო მოვლენასა და სურათს წარმოადგენდა. მრავალი ათასი კაცი იარაღში ჩამსხდარი გამსჭვალული იყო რკინის წესიერებით, დისციპლინით და ისე მოძრაობდა ტფილისის ქუჩებში თითქოს ამოდენა ხალხს სავსებით მიუღწევია პოლიტიკურ ზრახვებისათვის და ბრძოლის მაგიერ მთავრობასთან ერთად გულის ნადებით დღესასწაულობს თავის შვებასა. რომ შევადაროთ დეკემბრის 12 რომელიმე დღეებს გასული წლის მარტისას, თქვენ მყისვე შეამჩნევდით ამ ორ ხანას შორის საოცარ განსხვავებას: თუ 1917 წლის მარტის დემონსტრაციაში ყველგან სჩანდა ჯერ კიდევ მოუწყობელი ხალხი, თუ მაშინ სამოქალაქო აღტყინების მიუხედავად აშკარად შეამჩნევდით ბრბოს დრტვინვას და ბრბოს ფსიქოლოგიას. დღეს ჩვენ დავინახეთ სამოქალაქო ცხოვრებით გაჟღენთილი, ჩამოყალიბებული, [illegible] შექმნილი დემოკრატია მამულიშვილურის და სახელმწიფოებრივის ინსტინქტებით. ამნაირად, რევოლიუციის განმავლობაში ჩვენი ხალხი გარდაიქმნა პოლიტიკურად ფსიქოლოგიურად ორგანიზაციის პრინციპი შეიტანა ყოველივე საქმეში და სწორედ ეს პრინციპი სჩანს ყველგან, როგორც პარლამენტში, როცა ხალხის წარმომადგენელთა კოლექტიური შემოქმედება და მაშინაც, როცა რომელიმე გვარდიელი დარაჯად უდგას თავის ადგილს. ეს პრინციპი თანამედროვე საქართველოს პოლიტიკაში წითელი ხაზივით არის გატარებული და ყველაფერი გამომდინარეობს ამ პრინციპიდან. ამ მხრივ ჩვენი ხალხი და ცხოვრება მართლა განირჩევა სხვა ხალხის ცხოვრებიდან. რუსეთში რევოლიუცია ერთი ხელის დაკვრა კი არ არის, ის დაუსრულებელი პროცესი შეიქმნა, სადაც რევოლიუციის ზრახვის განხორციელებას ცდილობს არა ხალხის წარმომადგენლობა წესრიგით და დინჯი მუშაობით, არამედ ქუჩაში გამოსული ხალხი აღტყინებული გრძნობებით.

დიახ, საქართველოს დღევანდელ პარლამენტს და არც პარლამენტის თავგანწირულ დარაჯს—სახალხო გვარდიას—და ჯარს ერთხელაც არ დავიწყებიათ რევოლიუციის ლოზუნგები. როგორიც ჩვენ, ისე ხსენებულ ძალებს წარმოდგენილი აქვს რევოლიუციონური შემო-

1919 წლის იანვრის 1-დან

გამოვა ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა ყოველ თვიური, 64 გვერდიანი, სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„ლოგოსი“

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო პარტიული ძალები.

ხელის მოწერა მიიღება ამ თავითვე. ჟურნალი ღირს წლიურად 45 მანეთი, ნახ. წლით—23 მან., სამი თვით—12 მან., თითო ნომერი 4 მანეთი.

მისამართი: ლორის მელიქოვის ქ. № 1 ს.-ფედ. ბიურო.
რედაქცია ღიაა დილით 10—2 ს., საღამოთ 3—5 ს. 1441

1919 წ. იანვრის 3 (ახ. სტ.) 12 საათ.

ქალ. ზესტაფონში შესდგება სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლების სასამაზრო

კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე, 2. დამფუძნებელი კრება, 3. მოხსენებანი ადგილებიდან, 4. საერობო წვრილი ერთეულები, 5. პარტიული მუშაობა მაზრაში, 6. მიმდინარე საკითხები, 7. არჩევნები.

ყველა ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს; თუ წევრთა რიცხი აღემატება 50 კაცს, მაშინ ორს. 1439

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, დეკემბრის 14-ს,

ბ. ზალიპსკის სასცენო მოღვაწეობის ათი წლის აღსანიშნავად ალეშკოს, მოროზოვის, იანსის, ზალიპსკის მონაწილეობით

პიკის დამა გერმანის პარტიას შეასრულებს ზალიპსკი

დასაწყისი 7 ნახ. ს. ✦ ბილეთები მთლად გაყიდულია.

კვირას, დეკემბრის 15-ს, დილით ბალეტი 7 თხა და წითელ ქუდა.

საღამოს შულგინას, შვამბერგის იანსის კანშინის, პოლიევის და იასეცკის მონაწილეობით ნერონი.

სამშაბათს, დეკემბრის 17-ს, საბანეევის, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით ჰოფმანის ზღაპრები.

ხუთშაბათს, დეკემბრის 19-ს, ტფილისის პოლიტეხნიკუმის დღე, საბანეევის, ზალიპსკის, ვროხსკის, ნიკოლსკის, დემიანენკოს მონაწილეობით ხევილიელი დალაძე და ბალეტი.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამა დეკემბრის 18 1918 წ. დღით 12 საათზე იწვევს კონკურენციას—გადაკეთება 20 საწერ მაშინების სხვა და სხვა სისტემისა რუსულიდან ქართულ ენაზე. განცხადებები (მსურველთა აიღონ გადაკეთება საწერ მაშინებისა) უნდა გამოგზავნილ იქნეს უსათუოდ დახურული კონვერტები—და არა უგვიანეს დეკემბრის 17-მდის შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი სამაალო განყოფილების უფროსს საქართველოს რკინის გზისა, დაწვრილებით პირადად. ქ. ტფილისი საქართველოს რკინის გზის უფროსის კანცელარია, ყოველ დღე 9 საათიდან 3 საათამდე გარდა უქმისა. 1442.

ქმედება არა მარტო ქუჩაში გამოსვლით, დისციპლინის დაცვისა და პარლამენტშიაც ჩვენ ვიდევთ რევოლიუციის პრინციპების განხორციელებას, ხოლო ამ ორ ძალთა შორის იმ განსხვავებით, რომ ქუჩაში რევოლიუციის ტალღას სტიქიონის ხასიათი აქვს, ხოლო საკანონმდებლო მუშაობაში რევოლიუციონურ სისტემატიკის. როგორ შეიძლება რევოლიუციის მიზნების განხორციელება, ცხოვრებაში გატარება თუ კანონმდებლობის როლი იკისრა ყველამ, თუ ორგანიზაციის პრინციპი არ შევიტანეთ კანონის შექმნასა და განხორციელების საქმეში. სახელმწიფო, სადაც კანონმდებელი და აღმასრულებელი ყველაა, როცა მასსა კისრულობს ყველაფრის როლს მაშინ ჩვენს წინაშე არსებობს არა დემოკრატია- არამედ ოხლოკრატია და ჩვენში ეხლა სწორედ ოხლოკრატიის ქადაგებით ბევრი ცდილობს რევოლიუციონურ წესიერების და კანონმდებლობის პრინციპების სახელის გატეხას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ბევრს შურს ის წესიერება, რომელიც დიდი მუშაობით შექმნეს სარდაფებში, ციხეებში და კატორღებში დაბერებულმა რევოლიუციონერებმა. თუ როგორ უნდა რევოლიუციის ინტერესების დაცვა ეს ძალიან კარგად იციან იმათ, ვინც მთელი თავიანთი სიცოცხლე და კეთილი მდგომარეობა ხალხს შესწირეს და ქლექიანი ცხოვრება არჩიეს ბეჩავრობას, ბურჟუაზიის სამსახურს. ჟორდანია, ლასხიშვილი, წერეთელი, რამიშვილი და სხვები ეხლა მუშაობენ რევოლიუციის უფლებების დალაგებისათვის, სისტემატიკისათვის დარწმუნებულნი, რომ ხალხი უფლებებს მიიღებს კანონების შექმნით, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ვისაც მართლა სწყურია მოქალაქობრივი ცხოვრება. რევოლიუციის მოქალაქეობა—აი ლეიტ-მოტივი თანამედროვე საქართველოს შემოქმედებისა და ამ დებულების გამასხარავებას საქართველოს მთავრობა ნებას არ მისცემს არც მუქ-ფერის ქურქში გახვეულ „მემარცხენეებს“ და არც ძველ წყობილების მოციქულებს.

შეთანხმება თუ ომი?

ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რანაირი ყიჟინა ასტეხეს ამ რამდენიმე ხნის წინად სომხებმა ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობის შესახებ. საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც არა ჰგრძნობდეს, რომ ლტოლვილთა მდგომარეობა, განურჩევლად მიმართულებისა, ყოვლად უმწეო და საშინელი იყო და არის. მაგრამ არ მოიძებნება ამასთანავე ერთად არც ისეთი ადამიანი, რომელიც არა ჰგრძნობდეს, რომ ლტოლვილთა უბედურობის მიზეზი არის ის ავანტიურა, რომელსაც ოსმალეთი აწარმოებდა ამიერკავკასიაში საზოგადოდ და საქართველოში—კერძოდ. ერთად-ერთი საიმედო სახელმწიფოებრივი საშუალება ლტოლვილთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა იყო მათი დაბრუნება სამშობლოში, დაბრუნება იმ ადგილებში, საიდანაც მტრის ცეცხლმა და მახვილმა აჰყარა. ამას ძალიან კარგადა ჰგრძნობდა საქართველოს მთავრობა. ცდილობდა დიპლომატიურის გზით მოეწესრიგებინა საქმე, მაგრამ ოსმალეთის სარდლები განაგრძობდნენ თავიანთ ვერაგულ პოლიტიკას და საშუალებას არ აძლევდნენ საქართველოს ლტოლვილები უკან დაებრუნებინა. ბოლო ხანებშიაც კი, როდესაც ოსმალეთის სრული კაპიტულიაცია მოჰხდა, მათ თავი არ დაანებეს ინტრიგებს და ცდილობდნენ საქმე იმნაირად მოეწყოთ, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში საქართველოს რესპუბლიკას ფეხი ვერ შეედგა. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობისთვის ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება: ეს ზომაა ჯარის შეყვანა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში, წესიერების დამყარება ამ ადგილებში, შექმნა სახელმწიფოებრივი აპარატისა. მხოლოდ ამის შემდეგ გაადვილდებოდა ლტოლვილთა დაბრუნება სამშობლოში. და აი, როდესაც ეს მიზანი თითქმის განხორციელდა, როდესაც რესპუბლიკის ჯარმა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ლტოლვილებს გზა გაუკაფა, როდესაც ჩვენი ჯარი წესიერებას ამყარებს და ამით ცდილობს უზრუნველჰყოს პირადი და ქონებრივი ხელშეუხებლობა ზემოხსენებულ მაზრათა მცხოვრებლებისა,—სომხები ისევ ყიჟინასა გვცემენ და ცდილობენ კვლავ არეულდარეულობა შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში, სხვანაირად რომა ვსთქვათ, ისევ წესიერების დამრღვევ ელემენტად გამოდიან.

დავას ტერიტორიის შესახებ აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ყოველივე სადავო საკითხი მორიგებითა და არბიტრაჟით გაათავონ. ამ განცხადებაზე მთავრობას უარი არ უთქვამს. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს საქართველოს მთავრობას შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრა, სადაც ავანტიურას ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი. რედაქციას უკვე მოსდის ცნობები იმის შესახებ, თუ რანაირის სიხარულითა და ზეიმით ჰხვდებიან მცხოვრებნი საქართველოს რესპუბლიკის ჯარს.

ეს სიხარული ცხოველი გამოხმაურებაა იმ უტყუარი ჭეშმარიტებისა, რომ საქართველოს მოაქვს ზემოხსენებულ მაზრებში სიმშვიდე, სიწყნარე, წეს-რიგი და მოქალაქეობრივი ცხოვრება.

რას უპირისპირებენ სომხები საქართველოს მთავრობის ამნაირ ზომებს?

იარაღის ჟღარუნს და დაუსრულებელ არეულობას. დახმარების ნაცვლად ჩვენ კვლავ წინააღმდეგობას ვხედავთ, მშვიდობიანის გზით სადავო საკითხების გადაწყვეტის ნაცვლად—ცდას სადავო საკითხების გადაწყვეტას იარაღით.

საქართველო, რასაკვირველია, ამნაირი გზით ვერ წავა. იგი ისევ თავისი დემოკრატიული ლოზუნგების მიხედვით მოიქცევა და თუ სომხებმა არ მოისურვეს მშვიდობიანის მოლაპარაკებით გადაწყვეტა სადავო საკითხებისა, დაე მთელი პასუხისმგებლობა მათ დააწვეს კისერზე.

გ. ბარელი.

გერმანული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

პეტლიურას წინააღმდეგ.

გერმანული პრესა, დეკემბრის 10. მე-15 დივიზიის ჯარი ნიკოლაევიდან გაგზავნეს ილინისკენ მიმავალ პეტლიურას ჯარის წინააღმდეგ. პეტლიურას ჯარი ოდესის ახლო დგას.

ოდესაში.

პოლონეთის და მოხალისეთა ჯარის რაზმები ოდესას სტოვებენ. ოდესაში მილიციას შეტაკება ჰქონდა ჯართან, რომელიც გერმანიის ჯარის საწყობის დარბევას შეეცადა. მოკლულია რამდენიმე პოლონელი და 1 უკრაინელი ოფიცერი. ოდესაში ჩამოვიდა სერბიელთა როტა, რომელიც ავსტრიის ჯარში მსახურებდა.

გერმანიის ჯარი.

სამშობლოში დაბრუნებულ ჯარს გაზეთები მისასალმებელ წერილებს უძღვნიან.

„ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: „ამ ჟამად, როცა ბერლინის ქუჩებზე უფრო ხშირად ვხედავთ გერმანიის ჯარს და ათასი მოქალაქე უცხადებს მათ თავის თანაგრძნობას და სიყვარულს, როგორც არასოდეს ჩვენ ვგრძნობთ, რომ არავითარ დამარცხებას და მტრის დამცირებას არ შეუძლია დავიწყებას მისცეს მათი გმირობა, თავგამოდება და ერთგულება ოთხ-ნახევარის წლის ომის განმავლობაში“. „ფორვერტსი“ სწერს ახალი შეხვედრის სიხარული განუსაზღვრელია, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება დიდხნით მივეცეთ ამ მხიარულებას; ომისგან განადგურებულ გერმანიის აღორძინება სწყურია. შევუდგეთ ხელიხელ ჩაკიდებული შემოქმედებით მუშაობას, ჩვენს მომავალ ბედნიერებას ვხედავთ ჩვენ სოციალიზმში და თავისუფლებაში. მოდით ჩვენთან და დაგვეხმარეთ მათ მიღწევაში“.

გერმანიის ღვაწლი.

შეთანხმების სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ გერმანიის ღვაწლი მიუძღვის რუსეთის მოსაზღვრე მხარეებსა და უკრაინაში წესიერების დამყარების საქმეში. ოდესაში შესულ ჯარის უფროსმა მცხოვრებთა მიმართ გამოცემულ მოწოდებაში ამბობს ჩვენ ისე, როგორც გერმანელები აქ მოვედით არა დასაპყრობად არამედ უფლებრივობის და სამართლიანობის დასაცავად. „დოიტშე ალგემაინე ცეიტუნგი“ სწერს: ჩვენ გვსურს, რომ ამ სიტყვებმა პოლიტიკური და დემოკრატიული გამოძახილი ჰპოვოს პარიზსა, ლონდონსა და ვაშინგტონში ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა კარგად იციან, რომ გერმანია ყველაზე ადრე და ყველაზე მძლავრად შეებრძოლა ბოლშევიზმს.

ებერტი და შეიდემანი.

სოც.-დემოკრატიულ პარტიის მანიფესტაციების დროს ილაპარაკეს სახალხო კომისრებმა: ებერტმა და შეიდემანმა. ებერტმა ლიუსტგარტენში მრავალ რიცხოვან მიტინგზე სთქვა: მანიფესტაციები იმის დამამტკიცებელია, რომ ბერლინის და ყველა მუშების უმეტესი ნაწილი სდგას მთელი ქვეყნის სოც.-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ ყველა მიტინგზე ჩვენ გადაჭრით გარკვეულად გამოვსთქვით ჩვენი სურვილი, ჩვენ გვინდა ზავი, თავისუფლება და პური. თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ ზავს და წესრიგს, მაშინ დაიღუპება რევოლიუციის მონაპოვარი. ჩვენ შევებრძოლებით ყველა ახალ უზურპატორს, რომელიც ხალხის სურვილის წინააღმდეგ წავა ჩვენ არ გვინდა უზურპატორთა მთავრობა, ჩვენ გვსურს მთავრობა, რომელიც ხალხის სურვილის სრული გამომხატველი იქნება. იმ დრომდე, სანამ ხალხს თავისუფალი ხმის მიცემის საშუალებით არ გამოუთქვამს თავისი სურვილი, მთავრობა არის დროებითი და ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მალე მოვიწვიოთ ეროვნული კრება.

რუსების წინააღმდეგ

ეროვნულმა კრებამ აკრძალა გერმანიაში რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა შესვლა რომელთაც განზრახული აქვთ გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალურ კომიტეტში მონაწილეობის მიღება.

ვილსონის სურვილი.

პრეზიდენტ ვილსონს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის ელჩ ჟიულ-სერანდოისთან. „პარიზიენის“ ცნობის თანახმად ვილსონმა განაცხადა, რომ მას სურს მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციაში რათა თავისი 14 მუხლი რომელსაც მიზნად აქვს ჩაუყაროს საფუძველი ხალხთა ზავს თვით წამოაყენოს და ცხოვრებაში გაატაროს“.

კომისია

ინგლისელთა, საფრანგეთის და ბელგიელთა კომისია ბერლინში ჩამოვიდა. ინგლისელთა კომისიაში შედის გენერალ რეევენსგოუსი, კაპიტანი ვიკერმანი, ლეიტენანტი მოკენბანკი და ლეიტენანტი ბრინი. ფრანგების კომისიაში შედის ელჩი ალბერტ დანტბონარდი საფრანგეთის წითელი ჯვრის დელეგატი, მაიორი მარსელ რეიხი, სამხედრო ინტენდანტი ბლანკ პიგეი. მთარგმნელი გუსონი, ლეიტენანტი ალექსანდრე დუე და ლეიტენანტი ანდრეა შულდერი. ბელგიის კომისიის ხელმძღვანელია ვიქტორ იზე, წევრები: მაიორი დევოლი და ვექილი ტეოფილ პერსი.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბრიტანიის ჯარი კელნში.

ბრიტანიის ჯარმა კელნში აღადგინა წესიერება. ძარცვას უმეტესად ახდენდნენ სამსახურიდან განთავისუფლებულნი მელვაურნი ჯარის კაცები და მოწაფეები ბრიტანიის დარაჯები იცავენ რეინის დიდ ხიდს.

კელნის ბურგომისტრმა სთქვა რომ ის დიდად აფასებს ბრიტანიელთა ზრდილობას.

მეფე გიორგი.

მეფე გიორგიმ მემკვიდრე პრინცმა და პრინცმა ალბერტმა ინახულეს იპრი და სხვა მრავალი ადგილები, რომელშიც ხანგრძლივ ომის დროს დიდ როლს თამაშობდნენ.

ჩინეთში

ჩინეთმა მოითხოვა ჰოლანდიის ელჩის პეკინიდან გაწვევა, რომელიც ყველაზე ენერგიული გერმანოფილია და რომელიც აფრთხილებდა ჩინეთს არ დაეპატიმრებინა გერმანელები და გერმანელ ბანკების ლიკვიდაცია არ მოეხდინათ; ჰოლანდიის ბანკოველ ელჩსაც აბრალებენ, რომ ისიც შუღლს სთესდა მოკავშირეთა და ცენტრალურ სახელმწიფოების შორის.

ამერიკაში

ამერიკელმა მცხოვრებლებმა მოაწყვეს ინგლისელთა დღე ინგლისის მადლობის გადასახდელად კაცობრიობის თავისუფლების დაცვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკა ამაყობს მით, რომ ინგლისმა კაცობრიობას შესწირა თავისი სამხედრო ფლოტი, რამოდენიმე ასი ათასი ჯარის კაცთა სიცოცხლე იპრზე და მილიონიანი მსხვერპლი.

ვილჰელმი.

კორესპონდენტები ამერონგენიდან იუწყებიან, რომ კაიზერი დღითი დღე ნაღვლიანდება, ის ზის ფანჯარასთან და მთელი დღეების განმავლობაში აჩქარებით სწერს.

ბერლინში.

ბერლინში მდგომარეობა რთულდება მთავრობამ აკრძალა ჯარების ყაზარმებიდან გამოსვლა. ლიბკნეხტის პარტია დაბეჯითებით მოითხოვს მუშათა საერთო გაფიცვას; ამ პარტიის მომხრეებს აქვთ მრავალი ტყვიისმფრქვეველი და ამუნიცია. სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიას განზრახული აქვს მთავრობას ულტიმატიურად მოსთხოვოს რომ დაშალოს სპარტაკის კომიტეტი და ლიბკნეხტი დააპატიმროს.

მოსკოვის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ნაუენი, დეკემ. 10 მოკავშირეთა მიერ დაპყრობილ ოლქებიდან მოსულ ცნობების მიხედვით იქ მცხოვრებნი მძიმე პირობებში იმყოფებიან. მოკავშირეთა ჯარი ყოველ დღე ახდენს რეკვიზიციას. რეკვიზიციას უშვრებიან არამც თუ საზოგადო, არამედ კერძო ქონებასაც.

ლისაგორსკი, დეკემ. 10, ჩერნიგოვის გუბერნიაში უკრაინის არმიას საწინააღმდეგოდ ბოლშევიკები აგიტაციას ეწევიან და მხარს უჭერენ პეტლიურას გაიდამაკებს, ჩერნიგოვის გუბერნიაში პეტლიურას ჯარის სარდლობამ კონოტპში მყოფ გერმანელებს იარაღის ჩამორთმევაზე ულტიმატუმი წარუდგინა.

როტერდამი, დეკემ. 5, ლონდონის გაზეთი „დეილი ნიუსი“ იუწყება, რომ ინგლისსა და ამერიკის შორის ახალი მოლაპარაკებაა საზავო კავშირზე, რომლის ძალით ორივე სახელმწიფოს ზღვაში ერთნაირი ძალა უნდა ჰყავდეს.

ბაზელი, დეკემ. 4, იუწყებიან, რომ მოკავშირეებს გადაუწყვეტიათ თავისი ჯარი ბერლინში შეიყვანონ ზეიმით.

ნაუენი, დეკემ. 11, მთავრობის დავალებით, ოსმალეთის საელჩომ გერმანიის მთავრობას მოსთხოვა სამშობლოში დააბრუნოს ოსმალეთის ყოფილი ვეზირი თალაათ-ფაშა, ენვერ-ფაშა და დანარჩენი მთავრობის წევრნი, რომლებმაც გერმანიას შეაფარეს თავი.

მოსკოვი, დეკემ. 12. ეკატერინოსლავის ქუჩებში პეტლიურას ჯარისა და მოხალისეთა ჯარს შორის ბრძოლა გერმანელ ჯარის სარდლობის მოთხოვნილებით შესწყდა. მდგომარეობა გამოურკვეველია. პეტლიურას ჯარის შტაბმა ეკატერინოსლავში ბრძანება გასცა იარაღი აჰყარონ კომუნისტებს, მაგრამ ჯარისკაცებმა გადაჭრით უარი განაცხადეს და მოითხოვეს ოფიცერთა იარაღის ჩამორთმევა.

ახალი ამბავი

◆ **სამხედრო მინისტრის განკარგულება.** სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა, სადაც აფრთხილებს გაზეთებს არ დაბეჭდონ ცნობები საომარ მოქმედებაზე და რესპუბლიკის ჯარის გადაჯგუფებაზე თუ ამის შესახებ პირდაპირ მინისტრისაგან არ იქნება ცნობა.

◆ **მისალმება.** დრამატიული საზოგადოება თანახმად გამგეობის დეკემბრის 8 სხდომის დადგენილებისა, მხურვალე სალამს უძღვნის პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის შესრულების გამო და უსურვებს მრავალ ტანჯულ ჩვენს ერს მტკიცედ შეენარჩუნებინოს ეს ნეტარი თავისუფლება. თავმჯდომარე ივანე პურადაშვილი, მდივანი დავით წერეთელი.

◆ **მკვლელობა.** გუშინ, დილის 11 საათზე, მტაბის ქუჩაზე სასტუმრო „ფრანციის“ წინ მილიციონერებმა ორი საეჭვო პირს შეპყრობა მოუნდომეს. ერთმა მათგანმა რევოლვერი ამოიღო და მილიციონერის მოკვლა დააპირა, მაგრამ მილიციონერმა დაასწრო და იქვე მოკლა. მეორე კი გაიქცა. მოკლული აღმოჩნდა მანჯავიძე.

◆ **გვამი.** დეკემბრის 11-ს დილით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მილიციონერებმა იპოვეს მოკლულ მკირტიჩევის გვამი.

◆ **აზატიანცის მოკვლა.** განჯაში მოუკლავთ ყოფილი ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი გ. აზატიანცი.

◆ **ქურდობა.** ექიმ არჯევანიძის ბინიდან განოვის ქუჩაზე მოიპარეს 5000 მანეთის ნივთები.

◆ **შეწირულება.** საქართველოს სამხედრო კავშირის კომიტეტმა. სახალხო გვარდიის შტაბს 1000 მანეთი შესწირა.

◆ **მოწაფეთა კონცერტი.** კვირას, 15 დეკემბერს, კონსერვატორიის დარბაზში დღის 12 ნახ ქართული სამუსიკო სკოლა ჰმართავს პირველ მოწაფეთა კონცერტს, პროგრამა მეტად საინტერესოა და უფრო საყურადღებოა პატარა ბავშვების ნიჭის მსვლელობა.

◆ **ოჯახური საღამო.** კვირას დეკემბრის 15 საღამოს 6 საათზე საქარ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტ. მთავარ კლუბში (ლორის მელიქოვის ქ. № 1.) გაიმართება ოჯახური საღამო სამი განყოფილებისგან შემდგარი: 1. ლექცია პოლიტიკური ხასიათისა; 2. დეკლამაცია ახალგაზრდა პოეტებისა; 3. მომღერალთა გუნდი. საღამოს დაწვრილებითი პროგრამა ხვალინდელ ნომერში გამოცხადდება. საღამოზე დასწრება შეუძლია არა წევრთაც. შესასვლელი ფასი—2 მან მოწაფეებისთვის—1 მან.

◆ **მასწავლებელთა კავშირის კრება გორში.** დეკემბრის 22 (ახ. სტ.) ქ. გორში უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის შენობაში გაიმართება მორიგი საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებისა. განსახილველია მრავალი საკითხი. სთხოვენ გორის რაიონის მასწავლებლებს, გამოცხადდნენ კრებაზე. ბინა ღამის გასათევი არის.

შეცდომის გასწორება:

გუშინდელს მეთაურს აწერია: **საზავო საკითხები. უნდა იყოს სადაო.**

სოფლად და ქალაქად

◆ თელ. მაზრის დრ. გენ.-გუბერნატორთან ერთად ტფილისიდან ჩამოვიდა საგუბერნიო ბატალიონის სამხედრო მუსიკა, რომელიც ყოველ დღე უკრავს თელავის სასეირნო ბაღში.

◆ თელავში რამდენიმე შემთხვევა იყო შავი სახადის ავადმყოფობისა, რომელიც აქ მდგომ მე-6 ქართულ პოლკში თურმე თვეზე მეტია არის ეს ავადმყოფობა და სხვათა შორის მძიმედ ავად გამხდარა პოლკის უმც. ექიმი ვეფხვაძე.

◆ დეკემბერს 6 მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც მმ. ვ. პაატაშვილის სიტყვამ ქალაქის გამგეობის და სანიტარულ კომისიის და ექიმების უმოქმედობის შესახებ ესპანკის ავადმყოფობის მძვინვარების დროს და შავი ჭირის შესახებ, დიდი ალიაქოთი და პოლემიკა გამოიწვია, როგორც ქალ. გამგეობის აგრეთვე ექიმების მხრივ დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ.

◆ თელ. მაზრის დრ. გენ. გუბერნატორმა შ. მაღლაკელიძემ წინადადება მისცა ქალაქის ექიმ გ. ავალიშვილს მოახდინოს სანიტარული დათვალიერება მე-6 ქართულ პოლკის ყაზარმებისა, სადაც შავი ჭირი გაჩნდა და შემდეგ მოახსენოს მას საქმის ვითარება.

◆ სამაზრო ერობის გამგეობაში და საბჭოსთან არსებული სხვა და სხვა კომისიებში ამ ჟამად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს მომავალ ხმოსანთა ყრილობისათვის სამოქმედო გეგმის და მოხსენების მომზადებისათვის. ეს ყრილობა მოხდება დეკემბრის ოცის შემდეგ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, დეკემბრის 15-ს საღამოს 6 საათზე საქართველოს სოც.-ფედ. სარევ. პარტ. მთავარ კლუბში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) გაიმართება ოჯახური საღამო შემდეგი შინაარსისა: 1. ლექცია პოლიტიკურ საკითხებზე. 2. დეკლამაცია ახალგაზრდა პოეტებისა; 3. მომღერალთა გუნდი. დაწვრილებით პროგრამა ხვალ გამოცხადდება. საღამოზე დასწრება შეუძლიათ არა წევრთაც. შესასვლელი ფასი მოწაფეებისთვის 1 მან. დანარჩენებისთვის 2 მან.

—

დღეს, საღამოს 6 ს. არაგვის ქუჩა, სამოქალაქო სასწავლებლის ბინაზე მოხდება ვერის უბნის სოციალისტ.-ფედ. კრება. გასარჩევია საორგანიზაციო საკითხები და ასარჩევია სარაიონო ბიურო. ამხანაგებს ევალებათ აუცილებლად დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

სახალხო გვარდიის დღესასწაული

დილით

თვით ბუნებაც კი დღესასწაულობს! მშვენიერი ამინდია. დილის ცხრა საათზე ჰაეროპლანი დაცურავს ქალაქის მაღლა ჰაერში და ამცნებს ხალხს დღესასწაულს. ხალხი იყურება და სხ. და სხ. ჭორებს ლაპარაკობს; ერთი ამბობს გერმანელებისააო, მეორე ამბობს ინგლისელებისააო, ხოლო მესამე დინჯად უპასუხებს მეჭორეებს: არც გერმანელებისაა, არც ინგლისელებისაა, ეგ საქართველოს ჰაეროპლანიაო.

გოლოვინის პროსპექტზე

თერთმეტის ნახევარზე იკრიბება ჯარები სასახლესთან და იჭერს მთელ სიგრძეს გოლოვინის პროსპექტისას ყოველის მხრიდან სამხედრო მარშები, მარსელიეზა და ჰიმნი ისმის. მოწაფეები მუსიკით დადიან გოლოვინის პროსპექტზე და აუარებელი ხალხი აწყდება ყველა მხრიდან; შენობების სახურავები გაკუნწლილია ცნობის მოყვარე ხალხით. სახურავების ნაპირებზე შროშნებივით არიან გამწკრივებულნი.

ჯარები

პირველად მოვიდა რეგულიარული ჯარი. ეტყობა ჩვენს აფიცრობას კიდევ ბევრი ცეცხლი ჰქონია დარჩენილი გულში; სულ ვერ გაუქვრია რუსეთის მეფობას მათში სამშობლოსადმი სიყვარული და მის საკეთილდღეოდ უმუშავნიათ, ძალიან ბევრი უმუშავნიათ—გაუწვრთვნიათ ჯარი და თვითონვე განიცდიან ბედნიერებას,—ყველა ქართველს, სიხარულის ცრემლით უბრწყინავს თვალი მათის დანახვით. მერე ვინ არიან ეს აფიცრები, ეს ჯარის კაცები ხალხის შვილები—ესენი არ არიან ალექსეევის ჯარში გაპარული გამყიდველები სამშობლოისა და მშრომელი ხალხის მტრები, ესენი გმირები არიან!

ქართველი აფიცრები

საამური სანახავი იყო ჩვენი აფიცრები, რომელნიც ზოგი გვერდში მისდევდნენ თავიანთ უმცროს ძმებს, ჯარის კაცებს და ზოგნიც წინ მიუძღოდნენ. ეტყობოდა, რომ იქ არ იყვნენ ბატონები და მონები, იქ იყვნენ უფროსი ძმები და უმცროსი ძმები, ხოლო ორივე ერთად ქართველი ხალხის სული და გული.

ხალხი.

დიდის აღტაცებით ხვდებოდა გვარდიას ხალხი; ყველას სადღესასწაულო ღიმილი ამკობდა და ზოგიერთგან ქალები ყვავილს აფრქვევდნენ ჯარის კაცებს. დიახ, ყვავილს აფრქვევდნენ იმ ჯარის კაცებს, რომელთაც იხსნეს ჩვენი ქვეყანა [illegible] შემოსევისაგან, ბოლშევიკების ბანდებისაგან და იმ [illegible], რომელთაც საქართველოს დაღუპვა უნდოდათ; მართალია, ქალებისაგან მოძღვნილი ყვავილებით მკერდის შემკობა მოკრძალებული და გაუბედავი იყო, მაგრამ მომავალში უფრო მეტად დააფასებენ და მეტის გაბედულებით შეამკობენ ყვავილებით იმ გმირებს, რომელთაც იხსნეს [illegible] სამშობლო, მშრომელი ხალხის იდეალი და საყოველთაო მშვიდობიანობა.

ჰაეროპლანი.

მუსიკა უკრავს. ჯარები და გვარდია ემატება აქეთ-იქიდან, ამ დროს ზევიდან დაეშვება და თითქმის სასახლის შტანდარტთან გაისრიალებს ჰაეროპლანი, შემდეგ ისევ აიწევს ზევით და აეკვრება მოკრიალებულ, მზიან ცას. ხალხს და მეტადრე გამოცდილ პირებს უკვირთ, რომ ასე დაბლა ჩამოვა ხოლმე ჰაეროპლანი. გერმანელებიც ვერ ბედავდნენ ასე დაბლა ჩამოსვლას ქალაქში.

პარადი.

პირველის ნახევარზე გამოვიდა სასახლიდან მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, რომელსაც ხალხი ტაშით მიეგება, ხოლო ჯარები გაემზადნენ. ისმოდა ყოველის მხრით მუსიკა.

ნამდვილი ზეიმი იყო.

ნ. ჟორდანიამ მიიღო პარადი და შემდეგ იმის წინ სამხედრო მუსიკის ხმაზე ცერემონიალი მარშით გაიარა მთელმა გვარდიამ და ჯარმა, რომელიც შესაფერს სალამს აძლევდა მთავრობას.

სამ საათზე გათავდა პარადი და გვარდია წავიდა თავის სადგომებში.

საღამოს მშვენივრად იყო მორთული სასახლე, ქალაქის სამმართველო და თეატრები. სამმართველოს გუმბათი ძირიდან აყოლებული ელექტრონის მარგალიტებით იყო შეფრქვეული და ისე იკარგებოდა ვარსკვლავიან ცაში, რომლის მკერდზედაც ზეიმობდა მთვარე.

ხალხი მხიარულის ყიჟინით დასეირნობდა ქალაქის ქუჩებზე და იყო უზრუნველყოფილი იმ თავდასხმისაგან, რომლის შიშითაც შარშან ამ დროს საღამოს ხუთი საათიდან გარედ ვერავინ გამოდიოდა.

მხოლოდ ღამის სამ საათზე დაიძინა ქალაქმა.

დღესასწაულზე იყო ეროვნულ და რევოლიუციონურ დროშით ჩვენი პარტიული რაზმი. ამაზე ხვალ.

შთაბეჭდილება.

თუ კი ამ ერთ წელიწადში, ან რაღაცა ექვს თვეში შესძლო ჩემმა სამშობლომ ასე გაზრდა; თუ ეს ოფიცრები, რუსულმა სკოლამ რომ რუსულად მოხარშა, თუ კი ასე მალე გაცოცხლდნენ და ასეთ მოკლე ხანში ამოდენა საქმე გააკეთეს იმ დროს, როცა ყოველის მხრიდან გვიშენდნენ ყუმბარას და შინაც გვიწეწავდნენ საქმეებს—მომავალში უფრო მეტია მოსალოდნელი; მომავალში უფრო გაიზრდება და განმტკიცდება ის, რასაც ისე ნატრობდა, რასაც ზღაპარს ეძახდა გლეხი, მუშა და პატიოსანი ქართველი.

ი. მ.

უკანასკნელი ცნობები

ალავერდი

დეკემბრის 12-ს ალავერდიდან სომეხთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ: დელეგაცია მშვიდობით ჩავიდა ალავერდში. სადგურ. ახპატში მოწვეულ იქმნენ ახლო მდებარე სოფელთა წარმომადგენლები მდგომარეობის გამოსარკვევად. დელეგაცია ყოველ ზომას ხმარობს, რომ აღადგინოს კავშირი სოფლებს, აკორსა, უზუნლიარსა და არგვისს შუა, სადაც მოხდა უსიამოვნება. იმედი გვაქვს საქმის მშვიდობიანად მოგვარებისა. სომეხთა მთავრობის დელეგაცია ს. მდივანთან ერთად, რომელიც გზის გაფუჭების გამო კობერშია, მონაწილეობას ღებულობენ საქმის მშვიდობიანად დაბოლოვებისათვის.

სომეხ-ქართველთა შეტაკება.

გუშინ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრებმა მთავრობის სახელით მოახსენეს პარლამენტს უკანასკნელი ამბები, ბორჩალოს მაზრაში მომხდარი. სამხედრო მინისტრის მოხსენებით, უტყუარი, წყაროებიდან ცნობებია, რომ ჩვენი რაზმების წინააღმდეგ მოქმედებს შეიარაღებული ძალა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სომხების ჯარის პოლკოვნიკები და ოფიცრები (ფიროუმოვი, ხაჩატუროვი, მირიანოვი და სხვები). აღმოჩნდა შტაბებიც, რომელნიც ჩვენს საწინააღმდეგო მოქმედებას ხელმძღვანელობას უწევენ. ასეთი შტაბებია შაგალში, კარაკლისში. ამ შტაბებს განუწყვეტელი კავშირი აქვთ სომხეთთან, აწვდიან ერთმანეთს ტყვიებს, ზარბაზნებს, ტყვიისმფრქვეველებს, ჰყავთ საგანგებო მზვერავები. ხელთ გვაქვს დეპეშა. ერთ ადგილიდან კარაკლისში ეკითხებიან გამოცხადებულია თუ არა ომიო. ამ დილით—ბრძანა მინისტრმა—ახალი ცნობა მივიღეთ: ვორონცოვკა—კარავში მოჰკლეს 2 ჯარის კაცი და როდესაც აქეთკენ რაზმი გაიგზავნა, ღამით დაეცნენ ამ რაზმს და 14 კაცი მოჰკლესო. მთავრობა ყოველ ზომას ხმარობს, რომ ალაგმოს ეს თავხედი ბოროტმოქმედები.

მეორე მოხსენება წაიკითხა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგ. გეგეჭკორმა. დეკემბრის 9 გაუგზავნე დეპეშა ჩვენს წარმომადგენელს ს. მდივანს ერევანში, მაგრამ პასუხი არ მომსვლიაო. ცნობა გვაქვს—მდივანი და სომხეთის დელეგატები მოადგნენ სანაინს, მაგრამ გზა გაუვალი იყო და ამიტომ გაბრუნდნენო. მთავრობა დარწმუნებულია, რომ სომხეთის ოფიციალურ მთავრობას არავითარი კავშირი არა აქვს მომხდარ ამბებთან და ყოველ კულტურულ ზომას მიიღებს მომხდარი ამბების სალიკვიდაციოდ.

პარლამენტი დაკმაყოფილდა მთავრობის განცხადებით.

საქართველოს ჯარების შესვლა ახალციხეში

მშობელი დედის მკერდს ექვსი თვის განმავლობაში მოწყვეტილი მესხეთ-ჯავახეთის დედა ქალაქი, ახალციხე, დეკემბრის 4 ზეიმობდა; ამ დღეს შევიდა ქ. ახალციხეში ქართველი ჯარი და ის წუთი, როდესაც ამ ჯარმა ფეხი შესდგა ქალაქში, არ დავიწყდება არ წარიხოცება არც ახალციხის მცხოვრებთა მეხსიერებაში, არც იმათში, ვინც ამ დღეს ახალციხეში შევიდა.

ახალციხის დასაკავებლად გამზადებული ჯარის ნაწილი კაი ხანია ს. აწყურში იდგა; ელოდებოდა მეორე ნაწილს და ელოდებოდა მთავრობის ბრძანებას, რომ მესხეთისკენ წასულიყო.

ჯარის მეორე ნაწილი, მძიმე და მსუბუქ არტილერიასთან ერთად, ნოემბრის 27 ტფილისიდან გამოსული დეკემბრის პირველს ბორჯომიდან აწყურს გაემართა.

დიდებული იყო ჯარის სულიერი განწყობილება: ყველა ხარობდა, ყველას ღიმი უმშვენებდა სახეს და რაღაც ფრიად სანატრელ დღის მოლოდინში მოთმინების ფიალა ევსებოდა. საღამოს მივედით აწყურში; მშვენიერი სანახაობა იყო; აწყურში მდგომი ჯარის ნაწილი სოფელს გარეთ შემოგვეგება სამხედრო ორკესტრით, მშვენიერად გაწვრთნილმა მხიარულმა და მამაცად გამომეტყველმა ჯარის ნაწილმა სამხედრო სალამი მოგვცა და ვაჟკაცური ხმით შემოგვძახა: „გაუმარჯოს საქართველოს ჯარსო". სამხედრო ორკესტრმა გაცილა მწყობრად კოხტად მიმავალი ჩვენი ჯარი.

ორსა და სამს ამ თვეს მთელი ჯარი აწყურში იდგა; ყველანი მოულოდნენად ელოდნენ გენერალ მაყაშვილის ბრძანებას ახალციხეში გამგზავრების შესახებ ამ ორი დღის განმავლობაში საზღვარზე რომელიც ერთი ვერსით იყო დაშორებული აწყურს, რამდენჯერმე მოვიდნენ ახალციხის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები და ოსმალთა ჯარების უფროსი მოსალაპარაკებლად; ელაპარაკებოდათ გენ. მაყაშვილი, რომელიც ბორჯომიდან მოვიდა და ახალციხის მაზრაში მომქმედი რაზმის უფროსი—გელოვანი, რომელიც იმ დღეებში დანიშნა რაზმის უფროსად.

მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ ოსმალოები უკანასკნელად დეკემბრის 4 სცლიან ახალციხეს და ჩვენც ამ დღისთვის დავიწყეთ მზადება გასამგზავრებლად.

საინტერესოა შემდეგი ფაქტი: როგორც აწყურში მყოფი ნაწილის უფროსი გადმოგვცემს, მანამდე—სანამ აწყურში მცირე ჯარი იდგა, ახალციხის მთავრობის წარმომადგენლები თურმე სულ სხვა კილოზე ლაპარაკობდნენ; როდესაც დაინახეს ნამდვილი ძალა, რომელიც სერიოზულად იყო ანგარიშ გასაწევი, შეიცვალეს ტონი და სხვანაირად ლაპარაკობდნენ.

დეკემბრის 3 მივიღეთ დილით ბრძანება ჩვენს ავანგარდს გადაელახა საზღვარი და იმ ღამეს ნაჩვენებ სოფლებში დაბინავებულიყო; ნაბრძანები იყო უმთავრესი ძალები მეორე დილით წასულიყვნენ; დღის პირველ საათზე ჯარის ნაწილი—ავანგარდი—გავიდა აწყურიდან და გაუდგა გზას სხვა და სხვა მიმართულებით. იმ დღეს და ღამეს არაფერი ისმოდა: ეტყობოდა ჯარი მშვიდობიანად განაგრძობდა გზას.

საღამოს რაზმის უფროსმა ბრძანა, რომ ყველანი დილის 7 საათისთვის მომზადებულიყვნენ აწყურიდან გასასვლელად. ყველა ხარობდა სანატრო დღის მოახლოვებას; ასეულების უფროსები გადმოგვცემდნენ, რომ ჯარის კაცებს მთელი ღამე თითქმის არ უძინიათო; ყველანი მოუთმენლად ელოდნენ გათენებას ბევრ ასეულებში ჯარის კაცნი დილის 4 საათზე წამოხტნენ ფეხზე და 6 საათზე ყველანი მზად იყვნენ. შვიდს რამოდენიმე წუთი აკლდა, როდესაც მთელი ჯარი საომარი წესით დაიძრა აწყურიდან; გავედით იმ ადგილიდან, სადაც თავდება ბორჯომის ხეობა - ეს ჩვენი ხმელეთის დარდანელი—და სადაც იწყება აწყური: დიახ, აწყური და ჩვენი ყურიც, ჩვენი ყურადღებაც მიექცა ჩვენს წინ მდებარე მესხეთს.

ჯარმა მშვიდობიანად გაიარა მთელი მანძილი; გზაში დავრწმუნდით რომ წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაუბედნიათ, ახალციხის მახლობლად 3—4 ვერსის დაშორებით, ჩვენ დავეწიეთ წინადღით გაგზავნილ ავანგარდს, აქ ჯარმა შეისვენა.

ამ სტრიქონების დამწერი, რაზმის უფროსი ბრძანებით, წინდაწინ გაიგზავნა ქალაქში ავტომობილით რომ ქალაქის თავს მოლაპარაკებოდა ჯარისათვის ბინების შესახებ; საუცხოო სურათი გადამეშალა თვალწინ: ზღვა ხალხი—რომ იტყვიან ქართველები—ის ვნახე ქალაქს გარედ გამოსული, ქალაქში აღარავინ დარჩენილიყო, ყვავილებით ხელში, დროშებით გამოსულიყვნენ ყველანი—ბავშვებიდან დაწყებული მოხუცებულამდე და ელოდნენ ქართველი ჯარის მისვლას; ავტომობილის გატარება ძნელი იყო; ყველანი სალამს იძლეოდნენ ყველას სურდა ახლოს მოსულიყო და ავტომობილში ჩაეხედნა!..

ქალაქის თავი გზაში ვნახე, რომელმაც კაცი გამატანა ბინების დასათვალიერებლად; მალე [illegible] და ჯარიც დაიძრა ადგილიდან გენერალ გელოვანის წინამძღოლობით. წინ ცხენით ჯარს მიუძღოდა გენერალი გელოვანი თავის მხლებლებით; მას მიჰყვებოდა სამხედრო ორკესტრი, შემდეგ ქართული ლეგიონი, შემდეგ ქვეითი ჯარი, ტყვიის მფრქვეველები, კიდევ ქვეითი ჯარი, მსუბუქი და მძიმე არტილერია და ბოლოს კიდევ ქვეითი ჯარი, მწყობრად. მხიარული გამომეტყველებით მიმავალი დიდმანძილზე გაწვდილი ჯარი საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებდა.

მთელი ხალხი ქუდს იხდის; ისმის ძლიერი ხმა: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს ჯარს, გაუმარჯოს მის შემოსვლას ჩვენს ქალაქშიო.

აგერ, ხიდთან გენერალი შეაჩერეს, ჯარი შედგა; გენერალს ხალხი გარს შემოერტყა, მიართვეს პურ-მარილი, დროშები ხელ-წარწერებით; ერთი დროშა მადლიერმა ებრაელებმა უძღვნეს მფარველ საქართველოს ჯარს; ერთი დროშა მესხეთ-ჯავახეთმა უძღვნა მშობელ დედისგან გამოგზავნილ მოციქულებს, რაზედაც წარწერა იყო: „მადლიერ მესხეთ-ჯავახეთისაგან საქართველოს ძლიერების ბურჯს—ქართველთა ლაშქარს, გაუმარჯოს საქართველოს"... ხალხს სიხარულით თვალები ეცრემლება, ბევრნი ერთმანეთს ჰკოცნიან, ჯარს ჯვარს სახავენ, გზაზე ყვავილებს (ხელოვნურს) ფანტავენ.. ქართველ კათოლიკეთა სკოლის მცირე-წლოვანი მოწაფეები ყვირილით ეგებებიან ჯარს და „გაუმარჯოს" ყვირიან; მათი მასწავლებელი—კათოლიკეთა კსენძი—ქუდმოხდილი ეგებება გენერალს და გულზედ ხელ დადებული ლოცავს მისი ჯარის მოსვლას; სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი სიტყვებს ამბობენ: ჯავახეთ-მესხეთის წარმომადგენელი აღელვებით ლაპარაკობს; არ იცის, როგორი სიტყვებით შეეგებოს „სამშობლოს დაბრუნებას"; ქართველი ებრაელების წარმომადგენელი მადლობით იგონებს ისტორიულ წარსულს და ბედნიერად რაცხს იმ ებრაელებს, რომლებიც საქართველოში სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ, რადგან მათ არ განუცდიათ ის ტანჯვა, რასაც ებრაელობა ჩვეული არის ყველა დანარჩენ სახელმწიფოებში; სომხების წარმომადგენელი—მღვდელი ისტორიულ ძმობა-ერთობაზე ლაპარაკობს და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ჯარს სიმტკიცე და მეგობრობა მოაქვს ახალციხეში; მუსულმანთა წარმომადგენელი—მოლა აღიარებს შეცდომას, თხულობს ლმობიერებას და იმედს გამოსთქვამს, რომ ქართველი ერი არ შეეხება მათ ოჯახს, მათ წმიდათა-წმინდას...

ბევრი სხვა სიტყვა ითქვა; გენერალი მათ შესაფერად უპასუხებდა და მისი სიტყვების საპასუხოდ ყვავილებს უძღვნის ხალხი. ამ დროს ახალგაზრდა ქალების გუნდი მარსელიოზას მღერის, რის გათავების შემდეგ მთელი ხალხი ქუდმოხდილი—„გაუმარჯოს საქართველოს" იძახის...

სამხედრო ორკესტრი განზედ გადგა, გენერალი გზის ნაპირზე შეჩერდა და მუსიკის ხმაზე ფეხშეწყობილმა ჯარმა გასწია მწყობრად ქალაქისკენ; მას გაჰყვა მთელი ხალხი.. ქალაქის დასაწყისში თაღი იყო გაკეთებული ზედ წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება"; ფანჯრებზე, აივნებზე ხალიჩები და დროშები იყო გადმოფენილი; ერთ დროშაზე ეწერა: „დიდება შენს მოსვლას, თავისუფალო საქართველო"; მეორეს ეწერა: „მესხეთ-ჯავახეთი ეგებება სამშობლოს დაბრუნებას" და სხ.

აგეთი იყო ის შეხვედრა, რომლითაც ახალციხე გაუმასპინძლდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარს და რომელმაც ტკბილი [illegible] გამოიწვია ჩვენს არსებაში.

თუ ეგრე შეხვდნენ ჩვენს ჯარს ადგილობრივი მცხოვრებლები, კითხვა იბადება: რამ გამოიწვია ის მითქმა-მოთქმა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ახალციხის შესახებ არსებობდა? რაშია საქმე?

ოსმალეთის ჯარს ნაბძანები ჰქონდა ეს მაზრა დაეცალა; ადრე თუ გვიან, მაზრა უნდა განთავისუფლებულიყო, მაგრამ ოსმალთა ჯარი არ ჩქარობდა. უკანასკნელ ბრძანებით ამ ჯარს უნდა დაეტოვებინა ახალციხე დეკემბრის პირველ რიცხვებში და მაზრა უნდა გადასულიყო საქართველოს მთავრობის ხელში. ამ დროს თავი წამოუყვიათ აქ პროვოკატორებს და რამოდენიმე პირს ავანტიურა განუზრახავთ: ეს გარდამავალი

ხანა ხლომებიათ. გამოუყენებიათ თავიანთ მიზნე ის განსახორციელებლად, რომ თვითონ გაბატონებულიყვნენ ამ მხარეში; მათ გადუწყვეტიათ მე ხუთის დამოუკიდებლად გამოცხადება და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგობა, თუ ეს უკანასკნელი მოიწადინებდა მაზრის დაკავებას. ხუთ კაცს მათ შუარის ისწთებსაც, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვსთ ახალციხესთან, ნოემბრის 26 საიდუმლო დეპეშები გაუგზავნიათ ვილსონისთვის, საფრანგეთში და გენერალ ტომსონისთვის; ამ დეპეშებში ნათქვამი ყოფილა, რომ ახალციხის მაზრაში ორი მესამედი თათრებია და ერთი მესამედი სომხებიო. ქართველები თუ მოიძებნებიან — ისიც რამოდენიმე პროცენტი მხოლოდ და მისდა მიუხედავად საქართველოს მთავრობას სურს მაზრის დამორჩილება და შეერთება, — გვიშველეთ და დაგვიხსენით მათი მონობისგანო. ამ დეპეშების პასუხი, რასაკვირველია, მათ არ მიუღიათ. ამის გარეშე მათ განუზრახავთ საკუთარი ძალით გამკლავებოდნენ „მტერს" და ეს ძალა კი სდომებიათ შეედგინათ შემდეგ ნაირად: დაეტყვევებინათ ნაწილი დასახმარებლად; ოსმალებს, რამდენადაც გადმოეცვცეშენ, აღუთქვამთ დატოვება იმ ჯარისა, რომლებიც შემდგარი იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებლებისგან; აგრეთვე მათ მიუმართავსთ დახმარებისთვის აჭარის მცხოვრებლებისადმი, რომლებსაც პირველად თანხმობა განუცხადებიათ ათასი კაცის გამოგზავნაზე, მაგრამ ბოლოს უარი შემოუთვლიათ; უარის მიზეზი რამოდენიმე შეგნებული პირი ყოფილა, რომლებსაც აუხსნიათ ხალხისთვის ამ ავანტიურის დამღუპველობა და აჭარასაც უარი უთქვამს.

რადგან აჭარის დახმარების იმედი დაჰკარგათ, ადგილობრივ ძალებით მათ ვეღარ გაუბედნიათ წინააღმდეგობის გაწევა, მით უმეტეს რომ მალე შეხვდეს ძალას, რომელიც სერიოზულად ანგარიშ გასაწევი იყო; მეორე მხრით, როგორც ეტყობა, ოსმალოებმაც არ გაამართლეს მათი იმედები და მათს მეტიჩრობას ნიადაგი გამოეცალა.

ახალციხეში უკვე ყოფილიყო დანიშნული, უკეთ რომ ვსთქვათ, თავის ნებით გამოცხადებული დროებითი კომისარიატი; აი, ეს კომისარიატი მუშაობდა თურმე, მაგრამ მუშაობამ უნაყოფოდ ჩაუარა და დღეს ახალციხეში სდგას ჩვენი რესპუბლიკის ჯარი.

მტერი, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში სძარცვავდა და სულს უხუთავდა ამ მაზრას, დღეს მოშორებულია; პირი, რომელიც აჭლექებდა ქართველის ბუნებას მთელი ნახევარი წლის განმავლობაში, გაქარვებულია; ჩვენი სურვილი, ჩვენი მისწრაფება მესხეთის დაბრუნების შესახებ უკვე დაგვირგვინებულია და ჩვენზე და ჩვენ მთავრობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოუვლით ამ მხარეს, როგორ სიყვარულს დავიმსახურებთ ადგილობრივ მცხოვრებლებისას და როგორ გამოვიყენებთ ჩვენს სასარგებლოდ იმ სიძულვილს, ოსმალოებისადმი რომელიც ამ მხარეში დამბადა მათმა ველურობამ და დესპოტიზმმა.

ვან. ხრეითელი.

ეპიზოდები ბათომის პარტიზანული პოლკის ჯარისკაცის ცხოვრებიდან.

1918 წლის მარტის უკანასკნელი რიცხვები იყო რომ ბათომიდან დეპეშა მოუვიდა საქართველოს სოც. ფედერალისტთა მთავარ კომიტეტს.

საშინელი ცნობა იყო: „190 კაცი ჩარჩა ჩაქვასთან. მტერი გარს გვახვევია. მაგრამ არ ნებდებიან. მოგვეშველეთო". ეს იყო ის პატარა რაზმი, რომელიც ქიზიყელებისა და რამოდენიმე ფშაველებისაგან ბათომის პოზიციებზე გაგზავნა ტფილისიდან სოც.-ფედერალისტთა მთავარ კომიტეტმა და სამხედრო საბჭომ. და რომელიც მამაცი პრაპორჩიკი ა. დაფქვიაშვილის მეთაურობით თავს აღარ ანებებდა უკვე ყველასაგან მიტოვებულს და უიმედო პოზიციებს.

შველას გვთხოვდნენ და მეორე დღესვე უკვე მზად ვიყავით ასი კაცი ძმების საშველად.

მატარებელი ღამე 12 საათზე გადიოდა. ჩვენ, ტფილისის რაზმელები და დუშელი ამხანაგები უკვე შვიდს საათზე შევიკრიბეთ ჩვენს პარტიულ კლუბის დიდს დარბაზში და სიმღერა-თამაშით ვიქცევდით თავს.

წასვლის დროც მოახლოვდა. „სმენა" დასჭყივლა პრ. ერმ. მაჭავარიანმა და ჩვენც ჩავდექით.

„ამხანაგებო! აი, ჩვენი წმინდა იდეალების მტვირთველი, რევოლიუციის დროშას უნდა დააკვდეთ და არ შეარცხვინოთ", გვეუბნებოდა ოფიცერი. „აი ეს არის თქვენი ღმერთი", გამოიყვანა წინ მან ფილდფებელი „ყოველი ამის ბრძანება თქვენთვის კანონია, თუ ამის რიდი და გაგონება არ გექნებათ, უფროსსაც არ გაუგონებთ და ეს კი თქვენ დაგღუპავს"... „თქვენი პარტიის მთავარი კომიტეტი გგზავნისთ ძნელს და საშიშარს საქმეზე, მაგრამ თქვენ ან ღირსეულად შეასრულებთ თქვენი პარტიის დავალებას, ან მოკვდებით... აი, თქვენთან იქნება ჩვენი ამხანაგი, მთავარ კომიტეტის წევრი, თქვენთან გაიყოფს ჭირსა და ლხინს.. გაუფრთხილდით მას" — ო და წყებიდან წინ წამოყენა... ახლა შეჰფიცეთ ამ დროშას, რომ არ უღალატებთო და დროშის წინ მუხლი მოიყარა ჩვენც რევოლიუციონურ დროშის წინ დავიჩოქეთ და შევძახეთ: „გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს რევოლიუციას! — ო"

აქ იყო პირველად როგორც უფროსი და მბრძანებელი, რომ მოგვევლინა ი. გედევანიშვილი, რომელმაც მგრძნობიარე და შინაარსიანი სიტყვით მოგვმართა და ასე დაათავა... „თუ მე შემატყოთ სილაჩრე, იქვე დამხვრიტეთ და თუ რომელიმე თქვენგანს შევამჩნევ, ტყვიას გკრავთ შუბლშიო".

და თითქოს მართლადაც ვცდიდა ეს დალოცვილი, — მუდამ ყველაზე საშიშარ ადგილს ეტანებოდა და ჩვენ არ მოგვეცა შემთხვევა იგი დაგვეხვრიტა, მაგრამ საბედნიეროთ არც ერთი ჩვენგანიც არ გამოდგა ღირსი სილაჩრისთვის დახვრეტისა, მხოლოდ მტრის ვერაგმა ტყვიამ არა ერთსა და ათს ჩაუხვრიტა ვაჟკაცური გულმკერდი.

შინაურებმა ზოგიერთებმა თვალცრემლიანებმა გაგვაცილეს და წავედით... ეს იყო პირველი ეშელონი ბათომის პარტიზანული პოლკისა.

თოვლ-ჭყაპიანი ამინდი იყო. ურჩეულო ტვირთმა ზურგზე, იარაღმა და ჯარისკაცის მაზარამ ერთბაშად მომქანცა და რაზმს ჩამოვრჩი. ისევ დავეწიე ტრამვაით უკვე „კირკასთან" და ასეთს სურათს კი წავაწყდი: ერთი ვიღაც კაცი, სრულიად ტალახში ამოლაფული ჩაეგდოთ ჩვენს ყმაწვილებს და გაჰქანდათ და გამოჰქონდათ „ნუ მომკლავთ ყმაწვილებო თქვენი ჭირიმე, ქართველი ვარო", ღრიალებდა იგი და მისი ამხანაგებიც პატიებას ეხვეწებოდნენ გაბრაზებულს რაზმელებს. რისი ვაი ვაგლახით გავაგდებინეთ ხელიდან, — თურმე იმ ლაფიანს და მის ამხანაგებს ეკითხათ ჩვენებისთვის: ასეთი სიმღერით სად მიდიხართო და რომ გაეგოთ ბათომის მისაშველებლათო ეთქვათ: „დახედეთ ამ პირუტყვს ხალხს, სად მიდის!" გზაში და იქ, ოზურგეთის მიდამოებშიაც ხშირად გვესმოდა შემდეგშიაც უმადური კიცხვა-კილვაც: „ვინ გეხვეწებოდათ, რომ მიდიოდითო!" და ეს ყმაწვილებს განსაკუთრებით კახელებს ძლიერ უმღვრევდა გულს: იმ სიშორიდან აქ მოვსულვართ და თუ აქაურები ამას ამბობენ, ჩვენ რა გვრჯისო! მაგრამ ამ უსიამოვნებას უმალ ბრძოლის ჟინი და ქვეყნის ხსნის სურვილი კლავდა.

სამტრედიაში იყო ჩვენი მთავარი ბანაკი, იქ შევიმატეთ შესაძლებელი ძალები იმერეთიდან, სამეგრელოდან და აჰა, უკვე ლანჩხუთიდან გაუდექით ოზურგეთისკენ მიმავალს გზას.

აპრილის 9 საღამოს უკვე მივაღწიეთ სოფ. ჯუმათს. იქიდან თოთხმეტი ვერსი გვაკლდა ოზურგეთამდე, სადაც უკვე ოსმალთა ჯარები იყვნენ გაბატონებულნი.

მზვერავთა რაზმი პირველი მივიდა სოფ. ჯუმათში პორ. სანაიას და სამუშიას მეთაურობით. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც პორ. სანაიამ მიბრძანა ორ მზვერავთან ერთად წავსულიყავ ნასაკირალში და იქ დაბანაკებულ ჯარისათვის შეეცნობებინა ჩვენი მოსვლა და იმათი გეგმაც გამეგო, ეს ეს რომ გაიგო არ. ქუმბაძემ, იმანაც განაცხადა ნასაკირალში წასვლის სურვილი, მაგრამ რაზმელები აგვიჯანყდნენ: მათ ეშინოდათ, ვინ იცის ამ ღამით ვის წააწყდებითო და უფროსს განუცხადეს, ამათი წასვლა არ შეიძლებაო. ხვედელიძე, კუღულაშვილი, ლომთათიძე (გოჯად წოდებული), გვენეტაძე და სხ ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ სახიფათო დავალების ასრულებას. რამდენი არ არწმუნა სანაიამ რაზმელები, რომ არავითარი შიში არ იყო, მანამ არ მოისვენეს, სანამ არ გამოგვაყოლეს გოჯაც და ასე გავემგზავრა ჩვენი „ექსპედიცია" ერთი ადგილობრივი გურულის თანხლებით

პარტიზანი.

(შემდეგი იქნება)

დღევანდელი ზეიმი

იმ საშინელ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლოს განადგურება მოელოდა გაბოროტებულ და გამხეცებულ ბოლშევიკურ ბრბოებისაგან, აი ამ საშინელ და უკიდურეს გაჭირვებას საქართველოს დამცველად მოევლინა ორი ჯგუფი: სახალხო გვარდია და საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი სასიქადულო გენერალი ი. გედევანიშვილი და ეს ორი შეერთებული ჯგუფი ხელი ხელ ჩაკიდებულნი ლომივით ებრძოდნენ საქართველოს დაუძინებელ მტრებს, როგორც აფყურის და ყაზბეგის მიმართულებით, ისე სამეგრელოს მიდამოებში. მათ გადაარჩინეს მთელი საქართველო რღვევის პროცესისაგან ჯართან ერთად. მათ დაამტკიცეს სამშობლოს სიყვარული არა მარტო სიტყვით, ფრაზებით, არამედ თავგანწირულ, რეალურ მოქმედებით. ბევრი საუკეთესო შვილი გამოესალმა წუთისოფელს, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა მაინც მიაღწიეს დასახულ მიზანს და დაამყარეს მთელ საქართველოში სრული წესიერება და მშვიდობიანობა, რომელსაც დღეს აშკარად და ნათლად გრძნობს ყველა.

დღევანდელი დღე მართლაც ჩვენთვის საზეიმოა, როგორც პირველი დეკემბერი იყო, და ჩვენ გვწამს ამ დიდებულ დღეს სახალხო გვარდია და მასთან აგრეთვე ის, პარტია რომელსაც არა ნაკლებ მოღვაწეობა და თავგანწირვა მიუძღვის მშვიდობიანობის და წესიერების დამყარებაში, დღეს მწყობრად გამოვა ტფილისის მღელვარე ქუჩებში თავის წითელ დროშით და რევოლიუციონურ ჰიმნის გუგუნით და ამით ერთხელ კიდევ თავზარს დასცემს იმ ჩვენ მოსისხლე მტრებს, რომლებიც ლამობენ ჩვენს სუვერენულ უფლების შელახვას და ჩვენ დამოუკიდებლობის მოსპობა განადგურებას. მათ საუკუნო ხსენება სამშობლოს დაცვის დროს ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულ ამხანაგებს.

სალამი სახალხო გვარდიას და აგრეთვე მხურვალე სალამი გენერალ ი. გედევანიშვილის სახელოვან რაზმს!

ა. წულუკიძე.

პასუხი კორესპონდენტ „ალ-მა"-ს წერილზე „ფოთის ცხოვრებიდან".

(მილიცია თუ პოლიცია).

ბ-ნო „ალ-მა"-ვ! სახალხო საქმის 391 № ში მოთავსებულია თქვენი წერილი, რომელშიაც ჩემს პიროვნებას მიწასთან ასწორებთ. ხელმძღვანელობთ რა ვიღაც „აღშფოთებული" მილიციონერის მოპოვებულ ცნობებით, თქვენ მამკობთ ყოველივე დამამცირებელ ეპითეტით („მრავალი სხვა და სხვა ბოროტება ჩაუდენია ბ-ნ ჩაჩუას, ძნელია ყველა ფაქტების ჩამოთვლა", ბრძანებთ დასახელებულ წერილში) და თან აცხადებთ, რომ მზად ხართ წარსდგეთ ჩემ მიერ ჩადენილ ცოდვათა დასამტკიცებლად. თუ რა ხარისხი უდევს ასეთს თქვენს გამოსვლას ჩემს წინააღმდეგ, ეს კარგათ ვიცით; ამას მე კიდეც დავამტკიცებ და თავის დროზე გამოვაქვეყნებ, რომ საზოგადოებას და „სახალხო საქმის" რედაქციის უტყუარი შეხედულება ჰქონდეთ საქმის ვითარებაზე.

ახლა კი, ვასახელებ რა ჩემის მხრით მედიატორებად იურისტს ალექსანდრე ლომბაროვს და ფოთის ს.-დ კომიტეტის წევრს გუჯუ ნადარეიშვილს, წინადადებას გაძლევთ, დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, ორი კვირის განმავლობაში გამომყვეთ სამედიატორო სამართალში და დამიმტკიცოთ ყოველივე ის ბრალდება, რომელიც წამოაყენეთ ჩემს წინააღმდეგ. განაჩენი უნდა გამოცხადებულ იქნას გაზეთში.

უკეთუ თქვენ ასეთს ჩემს წინადადებას არ მიიღებთ, იძულებული ვიქნები მივმართო იურიდიულ სასამართლოს.

ყოფილი ქ. ფოთის მილიციის უფროსი.

გ. ჩაჩუა.

P. S. რადგან ამ კორესპონდენტის წერილმა ერთნაირი საბაბი მისცა ზოგიერთ ვაჟბატონს გაავრცელოს ცუდი ხმები ჩემს წინააღმდეგ, საჭიროდ მიმაჩნია აქვე მოვიყვანო მილიციიდან ჩემი გასვლის მიზეზი. შესაფერისს საბუთს თან ვურთავ რედაქციას, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „გიორგი სპირიდონის ძე ჩაჩუა ასრულებდა ქ. ფოთის მილიციის უფროსის მოვალეობას (1917 წლის ოქტომბრის 20 1918 წლის ივლისის 15) როგორც ს.-დ. პარტიის კანდიდატი და მან თვითონვე გაანება თავი სამსახურს, როდესაც მას ამის შესახებ წინადადება მისცა კომიტეტმა, რადგან აღმოჩნდა, რომ ის, გიორგი ჩაჩუა, სამსახურის ასრულების დროს იჩენდა ხშირად მეტს ლმობიერებას, რაც ხელს უწყობდა მილიციონერებში დისციპლინის დაცემას". საყურადღებოა, რომ მილიციაში სამსახურის დატოვების შემდეგ, იმავე კომიტეტის დადგენილების თანახმად, მე მომეცა შესაფერისი ადგილი ქალაქის თვითმმართველობაში.

გიორგი ჩაჩუა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

კონსტანტინე ვასილის-ძეს მღვრიელაძეს

დაეკარგა საკრედიტო მოწმობა № 2053 მეტრიკის ცნობა, მოცემული საკათალიკოსო საბჭოდან № 539. პასპორტი მოცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან № 365. სიღარიბის მოწმობა № 356, 1362

ექიმი ნ. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. პოლიკლინიკა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 6—86. 1276

ექიმი ა. მ. მუხაძე იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ხაიერგენის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი შ. ა. მირცხულავა მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქალი რ. ა. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ ბაბეგლაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და. მისამართი მიასკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ლ. ა. სარაჯიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლოს. 2106

ექიმი ვ. ი. [illegible]. მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნიკეა"-ს პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. ტუმანიშვილი, [illegible] ავადმყოფებს [illegible] (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ნ. დ. თურმანიძე (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. [illegible] აფთიაქის გვერდით. 998

ექიმი ვ. [illegible] იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორდანოვის ქ. № 6.

თვალის სამკურნალო [illegible]

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიჟში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 626

რენტგენისა და ელექტრობის სამკურნალო კაბინეტი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და [illegible]. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 5. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

რენტგენის და ელექტრობის სამკურნალო კაბინეტი

მედიცინის დოქტორის

გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), კუჭისა და [illegible]. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

საწყლებს უფასოდ. 1840

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. [illegible]

მიმსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რუქავაძე — შინაგანი და [illegible] ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტუემალაძე — კანის და ვენერიული სიფილის. 606—914 (შხაპ.) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი — [illegible] ნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი — შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე — შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იოსებიძე — შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე — [illegible] ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხარაძე — ბაქტერიოლოგი — გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა ს. [illegible] იძლევა ყოველგვარი ანალიზის მოწყობა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აბანო და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ერევანსკის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში [illegible] იმყოფება მორიგე ექიმი. 3178

ექიმ [illegible] კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1893 წელს)

[illegible] ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ა. ა. [illegible] — 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.

ბ. ნ. [illegible]: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. [illegible] — კანის და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

ი. ი. [illegible], 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს [illegible] გამგე ექიმი ა. [illegible].

ძმ. ვეფხვაძეების

ლიმონადის ქარხნებში მზადდება სხვა და სხვა ხილეულის წყლები. ვიღებთ შეკვეთას პროვინციებიდან და რკინის გზის ბუფეტებიდან და ადგილობრივ მედუქნეებისაგან აქვე მზადდება საზამთრო კვასი პურისა და ხილეულობისა. ამ ღვინის სიძვირის დროს ხელმის-წვდომ ფასებში, იყიდება აგრეთვე ნამდვილი ღვინის ძმარი გოგოლის და მატარეის ქ. კუთხე 52—24. 2046

ტფილისი, „სტამბა" ბარონის № 14, (გოლოვინის ქ. 14).